№1

ხელშეკრულება
საბანკო ოპერაციების წარმოების შესახებ

ქ. სამტრედია

28 ოქტომბერი 2005წ.

ერთის მხრივ, სს ბანკი "რესპუბლიკა"-ს სამტრედიის ფილიალი (შემდგომში "ბანკი"), წარმოდგენილი ფილიალის დირექტორის ბ-ნი გოგიტა კაკაბაძის სახით, და, სსიპ "ქ. სამტრედიის #3 საშუალო სკოლა" მეორეს მხრივ, (შემდგომში "კლიენტი"), წარმოდგენილი მისი დირექტორი მაგული გედენიძე სახით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ბანკი კლიენტს უხსნის სალარე და სავალუტო ანგარიშებს და უწევს მას საბანკო მომსახურებას წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებითა და წესით;

2.2. კლიენტი გაწეული მომსახურებისათვის ბანკს უხდის საკომისიოს, ბანკში დადგენილი ტარიფების შესაბამისად;

2. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

2.1. ბანკი კისრულობს ვალდებულებას:

2.1.1. დროულად და კლიენტის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის ზუსტი დაცვით აწარმოოს საბანკო ოპერაციები და მათი წარმოებისას დაიცვას მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნები;

2.1.2. კლიენტის მოთხოვნით მიაწოდოს მას მისი საბანკო ანგარიშიდან ამონაწერი ან/და ნებისმიერი სხვა ინფორმაცია მისი ანგარიშის და ანგარიშზე განხორციელებულ ოპერაციათა შესახებ;

2.2. ბანკს უფლება აქვს:

2.2.1 კლიენტის დავალებით, ხოლო, კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში, კლიენტის დავალების გარეშეც, ჩამოწეროს შესაბამისი თანხები კლიენტის ანგარიშიდან კრედიტორების ანგარიშზე მათი ჩარიცხვის მიზნით, აგრეთვე მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად განახორციელოს ანგარიშზე სხვა ოპერაციები;

2.2.2 შეცვალოს ბანკში დადგენილი მომსახურების ტარიფები, და შექმნას პირობები შეცვლილი ტარიფების შესახებ კლიენტის დროული ინფორმირებისათვის;

2.2.3 მოსთხოვოს კლიენტს მის ანგარიშზე ოპერაციის განხორციელების ეკონომიკური დასაბუთება და მასთან დაკავშირებული ნებისმიერი სახის ინფორმაცია და დოკუმენტი.

2.3. კლიენტი კისრულობს ვალდებულებას:

2.3.1. ანგარიშის წარმოებისათვის გადაუხადოს ბანკს მომსახურების საკომისიო საბანკო ოპერაციის განხორციელებისას ბანკში მოქმედი ტარიფების შესაბამისად;

2.3.2. ბანკის მოთხოვნისთანავე მიაწოდოს მას საბანკო ოპერაციის ეკონომიკურ დასაბუთებასთან დაკავშირებული ნებისმიერი სახის ინფორმაცია და დოკუმენტი;

2.3.3. დასახელების, სამართლებრივი სტატუსის, იურიდიული/ფაქტიური მისამართის, ანგარიშზე უფლებამოსილი პირების, ფილიალებისა და მათ შესახებ ინფორმაციის, ან სხვა მონაცემების შეცვლის შემთხვევაში ბანკს აცნობოს წერილობით, ცვლილებიდან ხუთი დღის ვადაში და წარუდგინოს მას ცვლილების დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტების ორიგინალები ან სანოტარო წესით დამოწმებული ასლები. აღნიშნული ცვლილების ბანკისათვის შეუტყობინებლობის შედეგად დამდგარი ნებისმიერი სახის შედეგზე პასუხისმგებლობა ეკისრება კლიენტს.

2.3.4. ანგარიშზე თანხის შეცდომით ჩარიცხვის შესახებ ინფორმაციის მიღებიდან 1 დღის ვადაში კლიენტი ვალდებულია შეატყობინოს ბანკს შეცდომით ჩარიცხული თანხის შესახებ და აღნიშნული თანხა უკანვე დაუბრუნოს ბანკს. ხოლო აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობისას გადაუხადოს ბანკს ჯარიმა თანხის 0,5%-ის ოდენობით თანხით სარგებლობის ყოველი დღისათვის.

2.4. კლიენტს უფლება აქვს:

2.4.1. მისცეს ბანკს ისეთი დავალებები ანგარიშზე ოპერაციების საწარმოებლად, რომლებიც არ არის კანონმდებლობით აკრძალული და მიზნად არა აქვს უკანონო შემოსავლების ლეგალიზაცია, ან კანონსაწინააღმდეგო ქმედების დაფინანსება;

2.4.2. მიიღოს ამონაწერი ანგარიშზე ნაშთისა და განხორციელებული ოპერაციების შესახებ;

2.4.3. მესამე პირებზე გასცეს სანოტარო წესით დამოწმებული მინდობილობა ანგარიშებზე ოპერაციების საწარმოებლად;

2.4.4. ისარგებლოს ბანკის მიერ შეთავაზებული დამატებითი მომსახურების სახეებით.

3. მხარეთა პასუხისმგებლობა

3.1. ბანკი პასუხისმგებელია კლიენტის წინაშე მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ანგარიშებზე ოპერაციების წარმოების სისწორისა და დროული შესრულებისათვის; საანგარიშსწორებო-საკასო მომსახურების განხორციელების დაყოვნებისათვის ბანკს არ ეკისრება პასუხისმგებლობა, თუ ეს მისი მიზეზით არ არის გამოწვეული, ან გამოწვეულია კლიენტის მიერ ბანკისათვის არასწორი ინფორმაციისა დაან არასწორი ინფორმაციის შემცველი დოკუმენტის გადაცემით;

3.2. კლიენტი პასუხისმგებელია ანგარიშის გასახსნელად და მასზე ოპერაციების საწარმოებლად წარმოდგენილი ინფორმაციის და დოკუმენტების უტყუარობისათვის;

3.3. ბანკი უფლებამოსილია შეაჩეროს საბანკო ოპერაციის შესრულება, თუ საბანკო ოპერაცია მიზნად ისახავს უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციას, კანონსაწინააღმდეგო ქმედების ანდა ტერორიზმსა და სხვა საერთაშორისო დანაშაულებში ბრალდებულ პირთა დაფინანსებას.

4. კონფიდენციალურობა

4.1. ბანკი ვალდებულია დაიცვას კლიენტის ანგარიშების, მათზე ნაშთებისა და ანგარიშებიდან განხორციელებული ოპერაციების შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალურობა, გარდა საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით პირდაპირ გათვალისწინებული შემთხვევებისა.

5. დასკვნითი დებულება

5.1. წინამდებარე ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა შესაძლებელია წერილობითი ფორმის დაცვით;

5.2. ხელშეკრულება შედგენილია ორ თანაბარ იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომლის ერთი პირი ინახება ბანკში, ხოლო მეორე გადაეცემა კლიენტს;

5.3. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღეს.

5.4. კანონმდებლობით გათვალისწინებული საფუძვლების არსებობისას, ან კლიენტის ანგარიშზე 3 თვის განმავლობაში ჩანაწერის არარსებობის შემთხვევაში, ბანკს უფლება აქვს შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება და დახუროს ანგარიში, რის შესახებაც წინასწარ აცნობებს კლიენტს;

5.5. კლიენტს შეუძლია მოითხოვოს წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერ დროს შეწყვეტა, რისთვისაც აუცილებელია კანონმდებლობით გათვალისწინებული დოკუმენტების ბანკისათვის გადაცემა და შეწყვეტის მომენტისათვის ბანკის წინაშე არსებულ ვალდებულებათა სრულად შესრულება.

მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

ბანკი	კლიენტი
სს ბანკი "რესპუბლიკა"-ს	სსიპ "ქ. სამტრედიის #3 საშუალო სკოლა"
სამტრედიის ფილიალი	
მისამართი: ქ.სამტრედია რაზმაძის 2 ტელ: 21353	ქ. სამტრედია რესპუბლიკის 37
ფაქსი: 822569855	

სამტრედიიდ ფილიალის დირექტორი

_____ /გ.კაკაბაძე/

ბ.ა.

_____ /მ. გედენიძე/

ბ.ა.

დანართი №1

ს.ს. ბანკი "რესპუბლიკა"-ს სამტრედიის ფილიალი
JSC Bank Republic Central Branch

მომსახურების ინდივიდუალური სახეობები და ტარიფები

სსიპ"ქ.სამტრედიის №3 საშუალო სკოლა"

მომსახურება	ლარში	უცხოურ ვალუტაში
ანგარიშიდან გახსნა	უფასო	უფასო
ანგარიშიდან გადარიცხვა	0.2% მინ.0.50თ.	0.5% მინ. 20 $ მაქს. 100 $
ანგარიშიდან ნაღდი ფულის გატანა	0.5%	1.0%
კონვერსია ლარი ↔ ვალუტა	*წინასწარი განაცხადისას –* – მომდევნო დღეს თბსბ-ზე დაფიქსირებულ კურსს + 0.3% * განაცხადის მიღებისას – 1. ბანკი "რესპუბლიკა"-ს კურსს + 0.5% 2. თბსბ კურსს + მაქს. 0.90%	
კონვერსია ვალუტა ↔ ვალუტა	განაცხადის მიღებისას – - ბანკი "რესპუბლიკა"-ს კურსს + მაქს. 0.5%	
ბანკი-კლიენტის ინსტალაცია და მომსახურება		

ყველა დანარჩენ მომსახურებას მიესადაგება ბანკის სტანდარტული ტარიფი

* წინასწარი განაცხადი მიიღება 1 დღით ადრე ან მიმდინარე დღეს 10.30 სთ-მდე
*საგალუტო კურსის მკვეთრი ცვალებადობის შემთხვევაში, ბანკი იტოვებს უფლებას აწარმოოს საკონვერსიო ოპერაციები შიდა საბანკო კურსით;
*სატარიფო პოლიტიკის ცვლილების შემთხვევაში ბანკი იტოვებს უფლებას შეცვალოს ზემოთ აღნიშნული ინდივიდუალური ტარიფები.

ფილიალის დირექტორი

_____ გ. კაკაბაძე

კლიენტი

_____ მ.გედენიძე